# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი 25 თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.

ირაკლი ავალიანი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

მალხაზ ბასილაძე – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში მრავალსართულიანი სახლების (აღმაშენებლის გამზირი №№ 9, 11, 13, 27, 31, 35, 37, 39, 41, 43, 22, 24, 40, 46, 48, 50, 52, ხანძთელის ქუჩის №21 და ბროსეს ქუჩის №2) ფასადების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების ფასი 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1473. 19.02.2015 წ.)

**განხილვა:** საკონკურსო კომისიის წევრმა მალხაზ ბასილაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 3 (სამი) პრეტენდენტმა:

1. შ.პ.ს „პრაიმლასტი“ – 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
2. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ – 11520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი.
3. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“ – 8000 (რვა ათასი) ლარი.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შ.პ.ს „პრაიმპლასტს“ წარმოდგენილი აქვს მხოლოდ შენობების განლაგების ტოპოგრაფია შენობების შეფერილობით, მაგრამ არა აქვს წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტით გათვალისწინებული ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ დიზაინის (ფასადების იერსახის ვიზუალური რენდერების მიხედვით) ესკიზები.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“-ს და ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით

განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვინაიდან კონკურსში მონაწილე კონკურსანტებს, საკონკურსო განცხადების მე-13 მუხლის 13.2 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად არ წარმოუდგინიათ დიზაინის (ფასადების იერსახის ვიზუალური რენდერების მიხედვით) ესკიზები.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: ირაკლი ავალიანმა და მალხაზ ბასილაძემ.

**დაადგინეს:**

1. ვინაიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 19 თებერვალს ქალაქ ქუთაისში მრავალსართულიანი სახლების (აღმაშენებლის გამზირი №№ 9, 11, 13, 27, 31, 35, 37, 39, 41, 43, 22, 24, 40, 46, 48, 50, 52, ხანძთელის ქუჩის №21 და ბროსეს ქუჩის №2) ფასადების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ №1473 კონკურსში მონაწილეთა საკონკურსო წინადადებები არ აკმოყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით არ შეფასდა საკონკურსო წინადადებები, არ გამოვლინდა გამარჯვებული და კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – „კონკურსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე